საბროკერო კომპანიები საქართველოში



საბროკერო კომპანიის საქმიანობა

	შეზღუდული ლიცენზია	სრული ლიცენზია
პირდაპირი კონსულტაციები გაუწიოს ინვესტორებს ინვესტიციებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ფასის, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების, ფასიანი ქაღალდების ყიდვა - გაყიდვისა და მათთან დაკავშირებულ უცხოური ვალუტით გარიგებებში	■	■
განახორციელოს ფინანსურ ინსტრუმენტებთან და მათ ემიტენტებთან დაკავშირებული კვლევა და უზრუნველყოს ამ კვლევის შედეგების ან/და საინვესტიციო სტრატეგიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გავრცელება	■	■
კონსულტაცია გაუწიოს ემიტენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე	■	■
მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე	■	■
მიიღოს და გადასცეს კლიენტების დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, კლიენტების სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება მათივე ინტერესებისათვის	□	■
მართოს კლიენტების, მათ შორის, საპენსიო სქემების, საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის გამოყოფილი სახსრები, გარდა კოლექტიური პორტფელის მართვისა	□	■
განახორციელოს კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება; ამ მიზნით გაუხსნას კლიენტებს ფულადი და ფასიანი ქაღალდების ანგარიშები და აწარმოოს მათზე ოპერაციები	□	■
საკუთარი სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის	□	■
მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე	□	■
ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში"	□	■
განახორციელოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვა	□	■
დადოს დერივატივი	□	■
განახორციელოს სხვა ოპერაციები ფინანსურ ინსტრუმენტებთან, სამეწარმეო საზოგადოების წილებთან ან ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება	□	■
ორგანიზება გაუწიოს უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმას	□	■

ძირითადი წარსადგენი დოკუმენტები

საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისთვის
ძირითადი წარსადგენი დოკუმენტებია:

- განაცხადი, ამონაწერი საჯარო რეესტიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტი;
- განსახორციელებელი საბროკერო საქმიანობების ჩამონათვალი;
- ინფორმაცია კომპანიის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ; თუ კომპანია ჯგუფის წევრია, ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურის შესახებ;
- ინფორმაცია საკუთარი კაპიტალისა (შეზღუდული საბროკერო ლიცენზია - 150,000 ლარი, სრული - 500,000 ლარი) და მისი წარმოშობის წყაროს შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მმართველი ორგანოსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესახებ; მათ შორის ინფორმაცია მმართველი ორგანოს წევრების სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით;
- კომპანიის მიმდინარე ბალანსი და ბოლო ფინანსური წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება;
- ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის ბიზნეს მოდელის შესახებ და მისი სტრატეგიული გეგმა;
- არსებობის შემთხვევაში, სავაჭრო პლატფორმის პროვაიდერის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლების აღწერა;
- მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.



ძირითადი წარსადგენი დოკუმენტები

უცხოური საბროკერო კომპანიის ფილიალის შემთხვევაში

ძირითადი წარსადგენი დოკუმენტებია:

- საქართველოში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხოური საბროკერო კომპანიის ლიცენზირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განსახორციელებელი საბროკერო საქმიანობის სახეების ჩამონათვალი;
- უცხოური საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის მიერ საქართველოში საბროკერო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკისთვის მიმართვის შესახებ;
- უცხოური საბროკერო კომპანიის ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს დასტური საქართველოში ფილიალის გახსნისა და საბროკერო საქმიანობის წარმართვის თობაზე;
- უცხოური საბროკერო კომპანიის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც დააკმაყოფილებს კაპიტალის მინიმალურ ოდენობას.

მარეგულირებელი ჩარჩო

კანონი

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ"

სამართლებრივი აქტები:

„საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N145/04 ბრძანება;

„მაღალი რისკების შემცველი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობაში ჩართული საბროკერო კომპანიების დამატებითი რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 14 ივნისის N107/04 ბრძანება;